

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი

არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია საქართველო
პარლამენტის არჩევნები, 8 ოქტომბერი, 2016წ.



შუალედური ანგარიში
30 აგვისტო – 19 სექტემბერი, 2016წ.

23 სექტემბერი, 2016წ.

I. შემაჯამებელი მიმოხილვა

- 8 ოქტომბრის არჩევნებში, ამომრჩევლები პარლამენტის 150 წევრს აირჩევნენ - 77 დეპუტატს დახურული პარტიული სიის პროპორციული სისტემით და 73 მაჟორიტარს ერთმანდატიან ოლქებში. პროპორციული მანდატების განაწილებისთვის საკვალიფიკაციო 5%-იანი ბარიერია დადგენილი, ხოლო მაჟორიტარმა კანდიდატებმა არჩევნებში გამარჯვებისთვის ამომრჩეველთა ხმების 50 პროცენტზე მეტი უნდა მიიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეორე რაუნდის დანიშვნა გახდება საჭირო.
- 2015 წელს საარჩევნო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით ოლქების ახალი საზღვრები დადგინდა, რისი მიზანიც იყო ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წინა რეკომენდაციების გათვალისწინება და იმ ხმების პროცენტული რაოდენობის გაზრდა, რაც მაჟორიტარი კანდიდატების არჩევისთვის იყო საჭირო. 2016 წლის ივნისში განხორციელებული სხვა ცვლილებები ძირითადად ტექნიკური ხასიათისაა და პროცედურებს ამარტივებს იმ ამომრჩევლებისთვის, ვისაც ოფიციალურად რეგისტრირებული მისამართი ან სათანადო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები არ გააჩნია.
- არჩევნები სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ იმართება: ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), 73 საოლქო საარჩევნო კომისია და 3,565 საუბნო საარჩევნო კომისია. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სესიები დამკვირვებლებისთვის ღიაა.
- ხმის უფლებით 18 წელს მიღწეული მოქალაქეები სარგებლობენ, იმ პატიმრების გარდა, ვისაც ხუთ წელზე მეტი აქვთ მისჯილი. სულ 3.5 მილიონზე მეტი ამომრჩეველია რეგისტრირებული. ხელისუფლება მთელი ძალისხმევით ეცადა, რომ ამომრჩეველთა სია მაქსიმალურად დაეზუსტებინა სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით.
- ამომრჩევლებმა არჩევანი უნდა გააკეთონ 25 პარტიასა და ბლოკს შორის პროპორციულ ბიულეტენზე, ასევე 854 მაჟორიტარ კანდიდატს შორის, რომელთაგან 57 ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფების მიერ არის წარდგენილი.

თვრამეტ პოლიტიკურ პარტიას რეგისტრაციაზე უარი ეთქვა და მოგვიანებით კიდევ 8 პარტიის რეგისტრაცია გაუქმდა, ხოლო ორი პარტიის რეგისტრაცია ანულირებული იქნა. ოთხმა პარტიამ გენდერული კვოტა დააკმაყოფილა თავიანთ სიებში, რითაც ბიუჯეტიდან დაფინანსების უფლება მოიპოვა. მაჟორიტარ კანდიდატს შორის 147 ქალია.

კამპანიის დაწყების შემდეგ 8 ივნისს, კამპანიის ღონისძიებები შეზღუდული და მცირემასშტაბიანი იყო;

დაფიქსირდა ძალადობის რამდენიმე შემთხვევა, როგორებიცაა შეტაკება კამპანიის თანამშრომლებს შორის, ასევე პარტიის ოფისების და საარჩევნო მასალების დაზიანება.

- ჯერჯერობით ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ყველაზე მეტად ცნობადი პარტიებია. მასმედიაში ამ ორი პარტიის წარმომადგენლებს შორის მუდმივი სიტყვიერი დაპირისპირებები ფიქსირდება.
- წინასაარჩევნო პერიოდში რეგულარული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნა არსებობს და სახელმწიფო აუდიტის სამსახური თვალყურს ადევნებს, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული პარტიის და კამპანიის დაფინანსების რეგულაციები, ასევე ის პოტენციურ დარღვევებსაც იძიებს. ბოლოდროინდელი ცვლილებებით, ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული მთელი რიგი რეკომენდაციებისა, რომლებიც ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მიერ იყო გაცემული.

მედიასთან დაკავშირებული კანონმდებლობა მედიის თავისუფლებას უზრუნველყოფს, მაგრამ ჯერ კიდევ სახეზეა ინციდენტები ზოგიერთ მედიასაშუალებასთან დაკავშირებით. საარჩევნო კოდექსში ბოლოს განხორციელებული ცვლილებებით უფასო საეთერო დრო შემცირდა, რომელიც კვალიფიციური სუბიექტებისთვის იყო გამოყოფილი საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლებზე, რაც მთელი რიგი პოლიტიკური პარტიებისთვის შეშფოთების საგანი გახდა. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის მიერ ექვს სატელევიზიო არხზე პრაიმტაიმის გაშუქების რაოდენობრივი და თვისებრივი მონიტორინგი 5 სექტემბერს დაიწყო.

- პარტიულ სიებში და მაჟორიტარულ კანდიდატებად დასახელებულია მთელი რიგი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებისა, რომლებიც ძირითადად უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში იყრიან კენჭს. ამომრჩეველთა სიები, ბიულეტენები, ოქმები და ამომრჩეველთა ინფორმაცია უმცირესობის ენებზე არის გადათარგმნილი.
- საარჩევნო კოდექსის მიხედვით, მთელს საარჩევნო პროცესზე დაკვირვება მოქალაქეებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე არჩევნებში მონაწილე კანდიდატების წარმომადგენლებს შეუძლიათ. 19 სექტემბრისთვის, ცესკოში რეგისტრირებულია 63 მოქალაქე და 30 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია.

- დღეისათვის, საარჩევნო კომისიებსა და სასამართლოებში შესულია 115 სარჩელი, რომლებიც ძირითადად საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშვნებს, საარჩევნო კომისიების რეაგირებას საარჩევნო დარღვევების სავარაუდო ფაქტებზე, ასევე კამპანიის წესების სავარაუდო დარღვევას ეხება. ნაწილობრივ ან სრულად დაკმაყოფილებულია შვიდი სარჩელი.

II. შესავალი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დროული მოწვევის შედეგად, ასევე თავისი მანდატის შესაბამისად, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია 30 აგვისტოს გამოაგზავნა. არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია, რომელსაც ელჩი ალექსანდრე კელჩევსკი ხელმძღვანელობს, თბილისში მოქმედი 12 წევრიანი ძირითადი გუნდისა და 26 გრძელვადიანი დამკვირვებლისგან შედგება, რომლებიც მთელს ქვეყანაში 7 სექტემბერს გადანაწილდნენ. მისიის წევრები ეუთოს 21 წევრი ქვეყნებიდან შეირჩა. ეუთომ/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა მონაწილე მხარეებისგან მოითხოვა, რომ 350 მოკლევადიანი დამკვირვებლები მოევლინათ კენჭისყრის დღეს პროცედურებზე დაკვირვების მიზნით.

III. ზოგადი ინფორმაცია

2016 წლის ოქტომბრის პარლამენტის არჩევნები პირველია, რომელიც ნახევრადსაპრეზიდენტო საკონსტიტუციო სტრუქტურის ქვეშ გაიმართება. აღნიშნული სისტემა 2012 წლის პარლამენტის არჩევნების შემდეგ იქნა შემოღებული, როდესაც დამოუკიდებლობის შემდეგ პირველად მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანად შეცვლა საქართველოში. მმართველმა კოალიციამ, ქართულმა ოცნებამ, 150 მანდატიდან 85 მიიღო, ხოლო ყველაზე დიდმა ოპოზიციურმა ჯგუფმა, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ - 65 მანდატი. ბოლო პერიოდში მომხდარმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მმართველი კოალიციის და საპარლამენტო პარტიების დაშლა გამოიწვია.¹ ქართული ოცნება და მისი კოალიციური პარტნიორები მომავალ არჩევნებში მონაწილეობას ცალ-ცალკე მიიღებენ.

ამ არჩევნებამდე მიმდინარეობდა მუშაობა საარჩევნო სისტემის არსებითი და ძირეული ცვლილების დამტკიცებაზე, რაც შერეულიდან სრულად პროპორციულ სისტემაზე

¹ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, კოალიცია ქართული ოცნება თავისუფალმა დემოკრატებმა, ეროვნულმა ფორუმმა და რესპუბლიკურმა პარტიამ დატოვა; პარტია ქართული ოცნება ოთხმა წევრმა დატოვა, რათა ინდივიდუალურ კანდიდატებად დარეგისტრირებულიყვნენ. ამჟამად, ქართულ ოცნებას მხარს უჭერს მაჟორიტარობის 12 დამოუკიდებელი კანდიდატი, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს და კონსერვატიული პარტია, რომელთაგან თითოეული ექვსი წევრით არის წარმოდგენილი. ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოთხმა წევრმა ახალი პარტია დააარსა - „ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი“.

გადასვლას გულისხმობდა. თუმცა, მმართველი კოალიციის წევრებს, ოპოზიციასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის მაჟორიტარული სისტემის გაუქმების თაობაზე მიღწეული კონსენსუსის მიუხედავად, ქართულმა ოცნებამ რეფორმები 2016 წლის არჩევნების შემდეგ გადადო.²

არჩევნები ისეთ გარემოში იმართება, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში არსებული არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე მოსახლეობის იმედგაცრუება პოლიტიკური ელიტის მიმართ. არჩევნების კონტექსტზე ასევე ზემოქმედებს 2014 წლის ივნისში გაფომვებული ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება და მიმდინარე დისკუსიები საქართველოს გეოპოლიტიკური ორიენტაციის შესახებ. ამასთანავე საარჩევნო ატმოსფეროზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს პოლიტიკური დამაბულობა ქართულ ოცნებასა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას შორის, 2016 წლის მაისში რიგგარეშე ადგილობრივი არჩევნების დროს კორცხელში მომხდარი ძალადობრივი დაპირისპირების ჩათვლით.

IV. საარჩევნო სისტემა და საკანონმდებლო ჩარჩო

პარლამენტის 150 წევრი ოთხწლიანი ვადით აირჩევა შერეული საარჩევნო სისტემის მეშვეობით. აქედან, 77 წევრი დახურული პარტიული სიით აირჩევა პროპორციული სისტემით მთელი საქართველოდან, ხოლო 73 ერთმანდატიან ოლქებში აირჩევა მაჟორიტარული სისტემით. პარტიებმა და ბლოკებმა ხუთპროცენტის ბარიერი უნდა გადალახონ, რათა პროპორციული მანდატების მიღება შესძლონ. მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებისთვის, კანდიდატებმა ამომრჩევლების ხმათა 50 პროცენტზე მეტი უნდა მიიღონ (30 პროცენტის ნაცვლად 2015 წლის დეკემბერში შესული შესწორების შემდეგ). თუ ხმათა საჭირო რაოდენობა ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო, პირველი ტურის შემდეგ, არა უგვიანეს 25 დღისა, მეორე ტური უნდა გაიმართოს იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი რაოდენობის ხმები მიიღეს.

არჩევნებს ძირითადად აწესრიგებს 1995 წლის კონსტიტუცია, 2011 წელს მიღებული საარჩევნო კოდექსი, 1997 წლის კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, ასევე სისხლის სამართლის კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ადმინისტრაციული კოდექსი, 2008 წლის კანონი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ, 2004 წლის კანონი მაუწყებლობის შესახებ, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) ბრძანებები და განკარგულებები.³

² მაისში, ადამიანის უფლებათა სწავლების და მონიტორინგის ცენტრმა (EMC) საარჩევნო სისტემის კონსტიტუციურობა გასაჩივრა. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი მიღო, მაგრამ გადაწყვიტა, რომ ეს საქმე არჩევნების შემდეგ განხილავდა.

³ 19 სექტემბრის მდგომარეობით, ცესკოს მიღებული აქვს 37 დადგენილება და 71 განკარგულება. ორი განკარგულება სასამართლოში გასაჩივრდა, რომელთაგან ერთი დაკმაყოფილდა, მეორე - არა. სულ სამი დადგენილება გასაჩივრდა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დაკმაყოფილდა.

წინა პარლამენტის არჩევნების შემდეგ საარჩევნო კოდექსმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 2015 წლის ბოლოს მასში შესწორებები შევიდა ერთმანდატიანი ოლქების საზღვრების ხელახლა დასადგენად, რომლის მიზანი იყო ამომრჩეველთა მეტი თანაბრობის პრინციპის უზრუნველყოფა და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის წინა რეკომენდაციების დაკმაყოფილება.⁴ ცვლილებები ეხებოდა ოლქების ხელახლა დადგენას ორეტაპიანი პროცესით, რის შედეგად 73 ერთმანდატიანი ოლქიდან 43 ოლქის საზღვარი დადგინდა და ცესკოს უფლება მიეცა, რომ დანარჩენი 30 ოლქის საზღვრები განესაზღვრა იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ერთზე მეტი საარჩევნო ოლქი უნდა შექმნილიყო.

პარლამენტის 42-მა წევრმა საზღვრების დადგენის ახალი პროცედურების შესახებ ცვლილებები საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა 1 ივნისს, მაგრამ სასამართლომ მათი სარჩელი არ დააკმაყოფილა 20 ივლისს.⁵ ასევე, სასამართლოს აზრით, 30 ერთმანდატიანი ოლქში საზღვრების დადგენის უფლებამოსილების ცესკოსთვის მინიჭება, ნათელი კრიტერიუმების დადგენის გარეშე, არ შეიცავდა საარჩევნო გეოგრაფიის ბოროტად გამოყენების საფრთხეს, როგორც ამას მოსარჩელები აღნიშნავდნენ.

სხვა ცვლილებები, რომელთაგან ყველაზე ბოლო 2016 წელს განხორციელდა, ძირითადად ცესკოს წინადადებებს ეფუძნებოდა. ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს შორისაა გარდამავალი დებულებები, რომლებიც ამომრჩეველთა ზოგიერთ კატეგორიის პირობებს ამარტივებს, რომ რეგისტრაცია თავიანთ ფაქტობრივ, ან ადრე რეგისტრირებულ მისამართზე გაიარონ. სხვა შესწორებებით ამომრჩეველთა ის რაოდენობა განისაზღვრა, რაც საინიციატივო ჯგუფის დასარეგისტრირებლად არის აუცილებელი, ასევე შემცირდა უფასო საეთერო დრო საზოგადოებრივ და კერძო მაუწყებლების ეთერში და უფლება მიეცა პოლიციას, რომ გამონაკლის შემთხვევებში, ძალადობის ასაცილებლად, ახლომდებარე საარჩევნო უბნებზე მივიდნენ, უბნის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისგან მოთხოვნის მიღების გარეშე.

მაისში ცვლილება განიცადა კანონმა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ და ახალი დებულებები ძალაში 20 ივნისს შევიდა. აღნიშნული შესწორების მიხედვით, პარტიებს საჯარო რეესტრში თავიანთ მონაცემების განახლება ცვლილებებიდან 10 დღის ვადაში მოეთხოვებოდათ, რამაც რამდენიმე პარტიის რეგისტრაციის სტატუსზე ზეგავლენა მოახდინა.⁶

⁴ თითოეულ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა ახლა ყველაზე მცირე ოლქში არის 41,598, ხოლო ყველაზე დიდ ოლქში - 54,168. საშუალო რაოდენობიდან ყველაზე დიდი გადახრა ამომრჩეველთა რაოდენობებს შორის ამჟამად 25.4 პროცენტს შეადგენს.

⁵ სასამართლომ განაცხადა, რომ „განმცხადებლების მიერ მოყვანილი არგუმენტები და საარჩევნო ოლქების საზღვრების ანალიზი საარჩევნო გეოგრაფიის ბოროტად გამოყენებას არ აჩვენებს.“

⁶ ცენტრისტების პარტიის რეგისტრაცია 16 აგვისტოს გაუქმდა, ხოლო კვარაცხელია-სოციალისტებისა - 31 აგვისტოს, საჯარო რეესტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სადაც გაცხადებული იყო, რომ პარტიების მიერ განახლებული ინფორმაციის საფუძველზე, ცესკოში სარეგისტრაციოდ

V. საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნებს სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაცია მართავს - ცესკო, 73 საოლქო საარჩევნო კომისია და 3,565 საუბნო საარჩევნო კომისია.⁷ აღნიშნული არჩევნებისთვის 53 საოლქო საარჩევნო კომისია სრულად განახორციელებს კანონით დადგენილ უფლებამოსილებას, ხოლო 20 საოლქო საარჩევნო კომისია იმოქმედებს როგორც დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისია, რომელიც ნაწილობრივ ახორციელებს უფლებამოსილებას და ძირითადად დახმარებას უწევს სხვა საოლქო საარჩევნო კომისიებს.⁸ განსაკუთრებული დებულებები იქნა უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მონაწილეობის ხელშესაწყობად - 1,115 საარჩევნო უბანზე შესვლა დაბრკოლების გარეშე შესაძლებელი და თითოეულ საარჩევნო უბანზე გამადიდებელი ღირსება ფურცელი და ჩარჩო ფორმა იქნება ხელმისაწვდომი. მიმდინარეობს ცესკოს ამომრჩველთა საინფორმაციო კამპანიის და ვიდეოგზავნილების თარგმნა უმცირესობების და ქსეტურ ენაზე.

ყველა საარჩევნო კომისია 13 წევრისთან შედგება, რომელთაგან 7 საბიუჯეტო დაფინანსების მიმღები პოლიტიკური პარტიებიდან არის წარდგენილი.⁹ ცესკოს დონეზე, დარჩენილი ხუთი წევრი პარლამენტის მიერ ინიშნება პრეზიდენტის წარდგინებით, ხოლო თავმჯდომარის შერჩევისთვის ცალკე პროცედურები არსებობს.¹⁰ ცესკოს სამი წევრი ქალია, თავმჯდომარის ჩათვლით. ქალები საოლქო საარჩევნო კომისიების 62, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების 69 პროცენტს შეადგენენ.¹¹ ცესკოს სხდომები დამკვირვებლებისთვის ღიაა და ყველა დადგენილება, განკარგულება და საჩვარი მის გვერდზეა განთავსებული.

ამჟამად, საარჩევნო თემატიკაზე მომუშავე მხარეები ნდობას უცხადებენ ცესკოს პროფესიონალიზმს და მის მუშაობას, თუმცა, წინასაარჩევნო პერიოდში ბევრი ბრალდება გამოითქვა რომ საოლქო საარჩევნო კომისიების მისამართით ძირითადად იმის შესახებ,

წარდგენილი განცხადებები არ იყო ხელმოწერილი პარტიების ლეგიტიმური ხელმძღვანელების მიერ.

⁷ ქვეყნის გარეთ ხმის მისაცემად, 42 ქვეყანაში 57 დამატებითი საარჩევნო უბანი გაიხსნა.

⁸ დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიები ძირითადად ლოჯისტიკურ, ადმინისტრაციულ და საინფორმაციო მხარდაჭერას გაუწევენ საოლქო საარჩევნო კომისიებს. დამხმარე საოლქო საარჩევნო კომისიის დონეზე კენჭისყრის შედეგებს არ დაითვლიან.

⁹ ყველაზე მეტი სახელმწიფო დაფინანსება შვიდმა პოლიტიკურმა პარტიამ მიიღო: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ქართული ოცნება, კონსერვატიული პარტია, რესპუბლიკური პარტია, თავისუფალი დემოკრატები, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს და ეროვნული ფორუმი.

¹⁰ პრეზიდენტი სამ კანდიდატს წარადგენს და შემდეგ პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული ცესკოს წევრები (იმ წევრის გამოკლებით, რომელიც იმ პარტიის მიერ არის დანიშნული, რომელმაც წინა პარლამენტის არჩევნებში ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა) თავმჯდომარეს აირჩევენ. თუ ცესკოს წევრები თავმჯდომარეს განსაზღვრულ ვადამდე ვერ აირჩევენ, პარლამენტს შვიდი დღე აქვს მის ასარჩევად.

¹¹ ცესკოს მიერ 31 აგვისტოს განახლებული ინფორმაციის თანახმად.

რომ ხსენებული საარჩევნო ადმინისტრაციები მიუკერძოებლად არ მოქმედებდნენ ქვედა დონის კომისიის წევრების დანიშვნისას. საარჩევნო ოფიციალური პირები მთელი ძალისხმევით ცდილობდნენ, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შერჩევის გამჭვირვალობის ხარისხი ამალღებულიყო, რისთვისაც, მაგალითად, სტატისტიკას აქვეყნებდნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების წინა გამოცდილების შესახებ, იმ წევრების ჩათვლით ჩათვლით, ვინც ადრე პარტიების მიერ იყო დანიშნული.

ცესკო საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს ხელმძღვანელობს¹². აღნიშნულმა ცენტრმა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის თავისი სასწავლო პროგრამის პირველი ეტაპები განახორციელა, რომელთაგან რამდენიმეს ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისია დააკვირდა. ცენტრმა ასევე ტრენინგები მოაწყო არჩევნებთან დაკავშირებულ თემებზე სხვადასხვა დაკავშირებული მხარისთვის, როგორცაა მასმედიის წარმომადგენლები, ადგილობრივი ადმინისტრაციის ოფიციალური პირები, პოტენციური ქალი კანდიდატები, საარჩევნო კანდიდატების წარმომადგენლები და მოქალაქე დამკვირვებლები.

VI. ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ყველა 18 წლის ასაკს მიღწეულ მოქალაქეს აქვს ხმის მიცემის უფლება იმ პატიმრების გარდა, ვისაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით აქვთ მისჯილი. 2015 წლის მარტში, ქმედუუნაროდ ადამიანებსაც მიეცათ ხმის მიცემის უფლება.¹³ საქართველოში ამომრჩევლების რეგისტრაციის პასიური სისტემა არსებობს. ცესკოს ვალდებულებაში შედის ამომრჩეველთა სიების შედგენა, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სხვა შესაბამისი უწყებების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე.¹⁴

წინასწარ სიებში 3,577,375 ამომრჩეველია რეგისტრირებული. საზოგადოების მხრიდან შემოწმების მიზნით ამომრჩეველთა სიები საარჩევნო უბნებში 8 სექტემბრიდან არის გამოქვეყნებული. სიებში, დამატებების და შესწორებების შეტანა 22 სექტემბრამდეა შესაძლებელია. ამას გარდა, ამომრჩეველთა სიებში მონაცემების გადამოწმება ცესკოს ვებგვერდზეა შესაძლებელი. აღნიშნული მიზნით შეიქმნა სპეციალური აპლიკაცია ამომრჩევლებისთვის, რათა მათ შეძლონ ამომრჩეველთა სიები ქვეყნის მასშტაბით განთავსებული სწრაფი გადახდის 7,000 ტერმინალის საშუალებით შეამოწმონ.

¹² ეს არის იურიდიული პირი, რომელიც საარჩევნო თანამდებობის პირების სწავლებასა და პროფესიულ განვითარებაზეა პასუხისმგებელი.

¹³ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული მოქალაქეების მიმართ 2014 წლის 8 ოქტომბერს გამოტანილი #2/4/532,533 გადაწყვეტილების თანახმად.

¹⁴ თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულების სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და უზენაესი სასამართლო.

ხელისუფლებამ დიდი ძალისხმევა გამოიჩინა, რომ ამომრჩეველთა სიები დაეზუსტებინა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ბიომეტრულ მონაცემებს ნერგავს სახელმწიფო რეესტრში.¹⁵ საარჩევნო სიებში შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით, კარდაკარ შემოწმებაც განხორციელდა და სახის ამომცნობი პროგრამა გამოიყენება დუბლირებული ჩანაწერების გასასწორებლად.

საარჩევნო კოდექსში განხორციელებული შესწორებები, რომლებიც ძალაში 12 ივლისს შევიდა, ოფიციალურად რეგისტრირებული მისამართის ან სათანადო დოკუმენტების გარეშე მყოფ ამომრჩევლებს შესაძლებლობას აძლევს 1 აგვისტომდე, რეგისტრაცია გაიარონ და ამომრჩეველთა სიებში მათი მონაცემები შეტანილ იქნას წინა საცხოვრებელი ან ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით.¹⁶ ხანმოკლე პერიოდის გათვალისწინებით, ცესკომ სპეციალური დადგენილება მიიღო, რომლის საფუძველზეც აღნიშნული კატეგორიის ამომრჩევლების რეგისტრაცია ამომრჩეველთა სიაში ცვლილებების შეტანის ბოლო დღემდე, 22 სექტემბრამდე გადაიდო. ცესკომ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობა, რომ 61,395 ამომრჩევლის მონაცემები, რომლებიც ადრე ამომრჩეველთა სიებიდან ამოღებული იყო, ახალი ცვლილების ძალით სიებში ისევ შესულია .

VII. კანდიდატის რეგისტრაცია

პასიური საარჩევნო ხმის უფლებით სარგებლობა ჩვენო უფლების მქონე საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, ვისაც შეუსრულდა 21 წელი და ვინც სახელმწიფო ენას ფლობს.¹⁷ არ შეიძლება აირჩეს ის მოქალაქეები, ვისაც უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოში არ უცხოვრია და ამ დროის განმავლობაში არ დამდგარა საკონსულო აღრიცხვაზე საზღვარგარეთ. იგივე შეზღუდვა ვრცელდება პირებზე, ნარკოტიკების მომხმარებელ ან წამალდამოკიდებულ პირებზე. კონკრეტულ საჯარო მოხელეებს მოეთხოვებათ გადადგენ, დაკავებული თანამდებობებიდან იმისათვის, რომ კენჭი იყარონ.

64 პოლიტიკური პარტიებიდან/ბლოკებიდან, რომლებმაც პროპორციული სისტემით არჩევნებში მონაწილეობისთვის განაცხადი შემოიტანეს, ცესკომ 25 საარჩევნო სუბიექტი

¹⁵ ამჟამად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2,400,000 ამომრჩევლის ბიომეტრული მონაცემები გააჩნია.

¹⁶ საარჩევნო კოდექსის მუხლი #185¹² ძალაში 12 ივლისს შევიდა.

¹⁷ საქართველოს ახალაზრდა იურისტთა ასოციაციამ ქობულთის #81 საოლქო საარჩევნო კომისიაში სარჩელი წარადგინა, რომელიც მოგვიანებით ცესკოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდა. აღნიშნულ სარჩელში მითითებული იყო, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ კანონი დაარღვია, როდესაც კანდიდატად ისეთი პირი დაარეგისტრირა, ვინც ქართული არ იცის. სასამართლომ დაადგინა, რომ კანონი ენის ცოდნის შემოწმების მექანიზმს არ ითვალისწინებს. შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ ძალაში დარჩა.

დაარეგისტრირა, აქედან 19 პარტია დამოუკიდებლად იღებს არჩევნებში მონაწილეობას, ხოლო 17 პარტია 6 ბლოკად არის გაერთიანებული. თვრამეტე პარტიას უარი ეთქვა რეგისტრაციაზე და დამატებით რვა პარტიის რეგისტრაცია გაუქმდა იმის გამო, რომ მათ საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა ვერ მოახერხეს, ხოლო ორი ბათილად იქნა ცნობილი.¹⁸ რეგისტრირებულ საარჩევნო სუბიექტებს პარტიული სიები 8 სექტემბრამდე უნდა წარედგინათ. პარტიები, რომლებიც სახელმწიფოსგან დაფინანსებას იღებს, დანამატს მიიღებს დაფინანსების 30 პროცენტის ოდენობით, თუ შესაბამის სიაში ყოველ 10 კანდიდატს შორის ნაკლებადწარმოდგენილი სქესი სულ მცირე, 30 პროცენტით იქნება წარმოდგენილ. ცხრა უფლებამოსილი სუბიექტიდან, აღნიშნული მოთხოვნა ოთხმა სუბიექტმა დააკმაყოფილა.¹⁹ სულ 1,330 ქალი კანდიდატია რეგისტრირებული პროპორციული, ხოლო 147 - მაჟორიტარული არჩევნებისთვის.

მაჟორიტარული მანდატებისთვის კანდიდატები შეიძლება პარტიებმა ან ბლოკებმა წარადგინონ, ან მათ დამოუკიდებლადაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება, თუ სულ მცირე, ხუთი ამომრჩევლისგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფის მიერ იქნებიან წარდგენილნი. 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის, 57 კანდიდატი საინიციატივო ჯგუფებმა წარადგინეს და ისინი შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიამ დაარეგისტრირა. ოცდაშვიდი საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაცია გაუქმდა, რადგანაც მათ რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინეს, ან ნებაყოფლობით თქვეს უარი მონაწილეობაზე. ამ არჩევნებზე სულ 854 მაჟორიტარი კანდიდატია დარეგისტრირებული.

VIII. კამპანია და კამპანიის დაფინანსება

ოფიციალური საარჩევნო კამპანიის პერიოდი 8 ივნისს დაიწყო არჩევნების გამოცხადების შემდეგ. კანონი ადგილობრივ ხელისუფლებას ავალდებულებს, რომ თანაბარი პირობები უზრუნველყოს ყველა კანდიდატისთვის, მათ შორის რაშიც შედის კამპანიისთვის შენობებსა და სარეკლამო სივრცეზე წვდომა. კანონი ასევე მოიცავს დებულებას ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენებასთან დაკავშირებით და საჯარო მოხელეებისთვის კამპანიაში მონაწილეობას კრძალავს. კამპანია კენჭისყრის დღეს აკრძალული არ არის, გარდა მედიასაშუალებებისა და საარჩევნო უბნებისა.

დაკვირვების პერიოდში, კამპანიის ღონისძიებები შეზღუდული იყო და ძირითადად მიტინგების სახით, საზოგადოებასთან მცირე შეხვედრებითა და კარდაკარ აგიტაციით შემოიფარგლებოდა. კამპანიის რეკლამები, როგორცაა ბილბორდები და კანდიდატთა

¹⁸ „ცენტრისტების“ და „კვარაცხელია - სოციალისტების“ პარტიის რეგისტრაცია გაუქმდა (*იხილეთ „სამართლებრივი ჩარჩოს“ ნაწილი*). ცესკომ თავდაპირველად გააუქმა „თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლოს“ რეგისტრაცია, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მოგვიანებით თბილისის საქალაქო სასამართლომ გააუქმა; პარტიის რეგისტრაცია აღდგა და პარტიული სიაც მიღებული იქნა.

¹⁹ პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც აღნიშნული მოთხოვნა დააკმაყოფილეს, არის: ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა, საქართველოს ლეიბორისტული პარტია, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი და თავისუფალი დემოკრატები.

პლაკატები, მთელს ქვეყანაშია გამოკრული, განსაკუთრებით, დიდ ქალაქებში. ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ყველაზე აქტიური და ხილვადი კანდიდატებს შორის. კამპანიის გზავნილები ძირითადად სოციო-ეკონომიკურ საკითხებზე, ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, სოფლის მეურნეობასა და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზეა ფოკუსირებული.

კამპანიის ტონი კონფრონტაციულია, სადაც ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ქართული ოცნება ერთმანეთს სდებენ ბრალს საარჩევნო პროცესში კონფრონტაციული გარემოს გამწვავებაში.²⁰ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიისთვის ცნობილი გახდა და, ასევე, მედიაშიც მთელი რიგი ინციდენტები გაშუქდა, როგორცაა შეხლა-შემოხლა კამპანიის მონაწილეებს შორის, პარტიის ოფისების და კამპანიის მასალების დაზიანება.²¹ იმის მიუხედავად, რომ ბევრი საქმის მიმართ გამოძიება აღიძრა, რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ ღრმა უნდობლობა გამოხატა სამართალდამცავი უწყებების, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართ. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ მთელი რიგი ბრალდებები მოისმინა ადმინისტრაციული რესურსების არასათანადოდ გამოყენების, საჯარო მოხელეებზე ზეწოლის შესახებ, რაშიც შედიოდა კამპანიის ღონისძიებებზე დასწრების მოთხოვნა და კამპანიაში მონაწილე პერსონალის დაზინება.

პარტიის და კამპანიის დაფინანსების მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოში ცვლილებები 2013 წლის აგვისტოს, 2014 წლის მარტსა და, ყველაზე ბოლოს, 2016 წლის ივნისში შევიდა. აღნიშნული ცვლილებებით მცირდება სანქციები კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევისთვის, დადგენილია ნებადართული შემოწირულობების ტიპები და შემოღებულია რეგულაციები საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილ კანდიდატებთან დაკავშირებით, ასევე გამოყოფილია სახელმწიფო დაფინანსება სატელევიზიო რეკლამის ხარჯების დასაფარავად კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის.²² თუმცა, მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გათვალისწინებული

²⁰ 14 სექტემბერს, პრემიერ მინისტრმა და ქართული ოცნების თავმჯდომარემ ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ქვეყანაში სიტუაციის რადიკალიზაციაში დაადანაშაულეს. იმავე დღეს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აღმასრულებელმა მდივანმა ქართული ოცნება ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პარტიის წევრების უწყვეტად დაზინებასა და მათზე ზეგავლენაში დაადანაშაულა.

²¹ მაგალითად, 11 აგვისტოს, დედოფლისწყაროში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისი დააზიანეს; 2 სექტემბერს, თბილისში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის ოფისი დაარბიეს; 11 სექტემბერს, ხარაგაულში, სახელმწიფო ხალხისთვის პარტიის მიტინგი ჩაშალეს; 13 სექტემბერს, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის ბილბორდი დაწვეს რაჭა-ლეჩხუმის მხარეში; 16 სექტემბერს, სოფელ გამარჯვებაში, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კამპანიის აქტივისტებს თავს დაესხნენ და გამოძიება დაიწყო; 19 სექტემბერს, საბურთალოზე, ქართული ოცნების ოფისში სამი პირი შეიჭრა.

²² სულ 11 კვალიფიციური სუბიექტია, რომლებმაც სამპროცენტო ანტი-ზღვარი გადალახეს ბოლო მუნიციპალურ და პარლამენტის არჩევნებში, რის შედეგად სახელმწიფო დაფინანსების მიღების უფლება აქვთ: ქართული ოცნება, კონსერვატიული პარტია, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, რესპუბლიკური პარტია, ეროვნული ფორუმი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, საქართველოს

ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფისგან (GRECO) მიღებული რეკომენდაციები, რაც გულისხმობდა უფრო ერთიანი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებას, ყველა ტიპის ადმინისტრაციული რესურსის არასათანადოდ გამოყენების პრევენციას და პროპორციული და გადამარწმუნებელი სანქციების შემოღებას ყველა დარღვევისთვის.²³

საარჩევნო სუბიექტებს შუემლიათ თავიანთი საარჩევნო კამპანიები კერძო შემოწირულობებით, სესხებით და სახელმწიფო თანხებით დააფინანსონ. კანონი ითვალისწინებს მაქსიმალურ ზღვარს შემოწირულობებისა და დანახარჯებისთვის. პარტიის ან ბლოკის მიერ წლიურად დახარჯული თანხა წინა წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 0.1 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს.²⁴ კერძო შემოწირულობების საერთო თანხა 60,000 ლარს (დაახლოებით 27,000 ევრო), იურიდიული პირებისთვის კი - 120,000 ლარს (53,500 ევრო) არ უნდა სცდებოდეს ერთი წლის განმავლობაში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური უფლებამოსილია პარტიის და კამპანიის დაფინანსებაზე ზედამხედველობა აწარმოოს და დარღვევებზე რეაგირება მოახდინოს. 2013 წელს შეტანილი ცვლილებებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფლებამოსილება შემცირდა და ახლა უკვე სასამართლოს გადაწყვეტილებაა საჭირო სანქციების დაწესებისთვის, ან ინფორმაციის გამოთხოვისთვის საარჩევნო სუბიექტებისთვის გადაცემული თანხების ან ქონების წარმოშობის შესახებ. ყველა საარჩევნო სუბიექტმა ფინანსური ანგარიშები უნდა წარადგინოს ყოველ სამ კვირაში რეგისტრაციის დღიდან და ასევე შეტყობინება გააკეთოს შემოსავლის შესახებ, მისი მიღებიდან ხუთი დღის ვადაში. 19 სექტემბრის მონაცემებით, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას აცნობეს, რომ 57 დამოუკიდებელი კანდიდატიდან 9 სუბიექტს, ასევე 25 რეგისტრირებული პარტიიდან/ბლოკიდან 3 კანდიდატს დადგენილ ვადამდე წარდგენილი არ ჰქონდათ თავიანთი ანგარიშები. ამას გარდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 79 დონორი გამოკითხა შემოწირულობების გადამოწმების მიზნით და სასამართლოს გადაწყვეტილება მოითხოვა 7 უკანონო შემოწირულობის საწინააღმდეგოდ.²⁵ ამას გარდა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 27 სარჩელი განიხილა ფინანსურ, არჩევნებთან დაკავშირებული სავარაუდო დარღვევების შესახებ. 8 ივნისიდან

ქრისტიან-კონსერვატორთა პარტია, დემოკრატიული მოძრაობა, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი და ლეიბორისტული პარტია.

²³ იხილეთ 2015 წლის [GRECO Second Compliance Report on Georgia](#). (ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის მეორე შესაბამისობის ანგარიში საქართველოს შესახებ)

²⁴ ან 13, 970,000 ლარი. 1 ევრო დაახლოებით 2.5 ლარის ტოლია.

²⁵ „პაატა ბურჭულაძე - სახელმწიფო ხალხისთვის“ პარტიას ოთხი შემოწირველი ჰყავდა, „ქართულ ოცნებას“ 2, ხოლო „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ - 1.

31 აგვისტომდე, სულ შემოწირულობების სახით 10 პარტიას მიღებული აქვს 13,099,169 ლარი (დაახლოებით 5,055,240 ევრო) 1,019 დონორისგან.²⁶

IX. მასმედია

ინფორმაციის მთავარი წყარო ტელევიზიაა. ბეჭდური მედია მცირე ტირაჟით გამოდის, ხოლო ონლაინ მედიის როლი იზრდება. სხვადასხვა შეხედულებების წარდგენისას, მედიასაშუალებები, განსაკუთრებით კი სამაუწყებლო მედია, ხშირად პოლარიზებულად მიიჩნევა პოლიტიკური თვალსაზრისით.

მაშინ, როცა მედიის შესახებ კანონმდებლობა მედიის თავისუფლებას უზრუნველყოფს, ბოლო ორი წლის განმავლობაში ერთმა საქმემ ამ საკითხის მიმართ გარკვეული ეჭვები წარმოქმნა.²⁷ *რუსთავი 2-ის* ამჟამინდელი მფლობელების წინააღმდეგ სასამართლოში მიმდინარე საქმე რამდენიმე ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იქნა მოყვანილი, როგორც მედიის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობა. ჯერჯერობით საქმის განხილვა არ დამთავრებულა და ამ არხს წინასაარჩევნო პერიოდის გაშუქება თავისუფლად შეუძლია.

ცვლილებებით შემცირდა კვალიფიციური სუბიექტებისთვის გამოყოფილი უფასო საეთერო დრო, როგორც საზოგადოებრივ, ასევე კერძო მაუწყებლებზე, რაც ზოგიერთი პოლიტიკური პარტიისთვის შემფოთების საგანი გახდა.²⁸ საარჩევნო კოდექსი

²⁶ საანგარიშო პერიოდში, ქართულმა ოცნებამ 8,746,410 ლარი მიიღო; SP – 262,668,9 ლარი; საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა – 626,948 ლარი; ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ – 566,615 ლარი; თავისუფალმა დემოკრატებმა – 311,350 ლარი; დემოკრატიულმა მოძრაობამ – 107,996 ლარი; პარტიამ თოფაძე - მრეწველები, ჩვენი სამშობლო – 71,700 ლარი; რესპუბლიკურმა პარტიამ – 21,840 ლარი; ეროვნულმა ფორუმმა – 12,020 ლარი; ლეიბორისტულმა პარტიამ – 7,600 ლარი. 1,019 შემომწირველისგან 23 იურიდიული პირია.

²⁷ სასამართლო საქმეში, რომელიც ქვეყანაში ყველაზე მაღალრეიტინგული კერძო ტელეარხის, *რუსთავი 2-ის* მფლობელობას ეხება, 2015 წლის 4 აგვისტოს არხის ერთ-ერთმა ყოფილმა მფლობელმა სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში, თავისი მფლობელობის აღსადგენად, აცხადებდა რა, რომ მას ტელევიზიის გაყიდვა აიძულეს. 10 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის სარჩელი ძალაში დატოვა, რომლითაც მას *რუსთავი 2-ის* მფლობელად აღიარებდნენ. 9 სექტემბერს, უზენაესმა სასამართლომ საქმე განსახილველად მიიღო. თბილისის საქალაქო სასამართლომ მისი მენეჯმენტი შეცვალა და ამით პირდაპირ ჩაერია მედიასაშუალებების სარედაქციო დამოუკიდებლობაში - 2015 წლის 5 ნოემბერს, სასამართლომ *რუსთავი 2-ის* გენერალური დირექტორი და ფინანსური დირექტორი თანამდებობებს ჩამოაშორა. 2015 წლის 13 ნოემბერს, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება გააუქმა.

²⁸ 2016 წლის ივნისის ცვლილებებით, საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, *ტელეკომპანი აჭარამ* და სათემო მაუწყებლებმა კვალიფიციურ სუბიექტებს ყოველ 3 საათში 15 წუთი, ხოლო თითოეულ კვალიფიციურ სუბიექტს ყოველ 3 საათში მაქსიმუმ 90 წამი უნდა დაუთმონ (ადრე კვალიფიციურ სუბიექტებს ყოველ 3 საათში 180 წამი ჰქონდათ გამოყოფილი). ცვლილებების მიხედვით, კერძო მაუწყებლებმა კვალიფიციურ სუბიექტებს ყოველ 3 საათში არა ნაკლებ 7.5 წუთი, ხოლო თითოეულ კვალიფიციურ სუბიექტს ყოველ 3 საათში მაქსიმუმ 90 წამი უნდა დაუთმონ (ადრე კვალიფიციურ სუბიექტებს მინიმუმ 90 წამი ჰქონდათ გარანტირებული). ამ არჩევნებისთვის, ცესკომ

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს და *აჭარის ტელევიზიას* დროის გამოყოფას ავალდებულებს, მათ შორის ყველა არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის.²⁹ ფასიანი რეკლამა პარტიებისთვის არის დაშვებული ხარჯების ზედა ზღვარის გარეშე, ხოლო მაუწყებლებმა თავიანთი ტარიფები ყოველკვირეულად უნდა გამოაქვეყნონ და თანაბარი პირობები შესთავაზონ ყველა მონაწილეს. კვალიფიციურ სუბიექტებს ასევე უფლება აქვთ, რომ დამატებით სახელმწიფო დაფინანსება მიიღონ სატელევიზიო რეკლამის ხარჯების გადასახდელად. ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან დაფინანსებული გაზეთების გარდა, არ არის დარეგულირებული წინასაარჩევნო გაშუქება ბეჭდური მედიის მიერ, იმ დებულებების გამოკლებით, რომლის მიხედვითაც თანაბარი პირობები უნდა იქნას უზრუნველყოფილი ფასიანი რეკლამის შესყიდვის მხრივ.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები ნებადართულია, მაგრამ მას თან უნდა ახლდეს დეტალური ინფორმაცია მათი მეთოდოლოგიის და იმ ინსტიტუტის შესახებ, რომელმაც აღნიშნული გამოკითხვა უზრუნველყო. მათი გამოქვეყნება კენჭისყრის დღემდე 48 საათით ადრე უნდა შეწყდეს, ხოლო ეგზიტპოლის შედეგების გამოცხადება ნებადართულია კენჭისყრის დღეს, 20:00 საათიდან. საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოაცხადა ეგზიტპოლის განხორციელების შესაძლებლობა სამ კერძო ტელეარხთან ერთად, რაც ჩვენთან მოსაუბრე პირების აზრით საფრთხეს წარმოადგენს მისი, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი სამსახურის როლის თვალსაზრისით. 19 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომელიც მედიაში გაშუქების სამართლებრივ დებულებებთან შესაბამისობას ზედამხედველობს, 53 სატელევიზიო არხის, 30 რადიოსადგურის და 31 ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული გაზეთის მონიტორინგს აწარმოებს. 19 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ორი ანგარიში აქვს გამოქვეყნებული, რომლებიც საარჩევნო კამპანიის პირველ ორ თვეს მოიცავს. აღნიშნულ ანგარიშებში არ შედის ყოვლისმომცველი ინფორმაცია დარღვევებზე, მაგრამ გამოვლენილია მრავალი დარღვევები მაუწყებლების მიერ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნების წესებთან დაკავშირებით.

5 სექტემბერს, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე დამკვირვებელთა მისიამ მედიამონიტორინგი დაიწყო რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზით,

კვალიფიციურ პარტიად 11 სუბიექტი გამოავლინა, მაგრამ ამათგან არჩევნებში მხოლოდ 9 იღებს მონაწილეობას.

²⁹ საარჩევნო კოდექსი აღნიშნული დროის განაწილების შემდგომ პროცედურებს არ აკონკრეტებს.

ექვსი სატელევიზიო არხის გაშუქებაზე, საუკეთესო დროს.³⁰

X. სარჩელები და გასაჩივრებები

საარჩევნო კანონი საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებების გასაჩივრებისთვის დავის მოგვარების დაჩქარებულ პროცესს ადგენს, სადაც ერთი ან ორი დღე არის გამოყოფილი გასაჩივრებისა და განხილვისთვის. პარტიების და ბლოკების წარმომადგენლებს, კანდიდატებს და რეგისტრირებულ დამკვირვებლებს უფლება აქვთ, რომ საჩივრები წარადგინონ ყველა საქმეში; ამომრჩევლებს მხოლოდ იმ სარჩელების წარდგენის უფლება აქვთ, რაც ამომრჩეველთა სიაში მათ არ შეყვანას ეხება. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები შეიძლება შესაბამის ზემდგომ კომისიაში, შემდეგ კი რაიონულ/საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდეს, სადაც სააპელაციო სასამართლო საარჩევნო სარჩელების განხილვის ბოლო ინსტანციას წარმოადგენს. საკონსტიტუციო სასამართლომ შეიძლება საარჩევნო სამართლის დებულებების კონსტიტუციურობა განიხილოს, სარჩელის საფუძველზე.³¹

იმ პირებმა, ვისთანაც ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ შეხვედრები გამართა, შემფოთება გამოხატეს სასამართლოზე ზეწოლის გამო, რამაც შეიძლება სისტემის დამოუკიდებლობაზე ზეგავლენა მოახდინოს. აღნიშული საკითხი ადრეც იყო წამოჭრილი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ.³²

19 სექტემბრის მდგომარეობით, საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეზე და სასამართლოებში 115 სარჩელი იყო წარდგენილი.³³ მოსარჩელებს ღია სხდომებზე უსმენენ და მხარეებს (პარტიებს) მოსმენის დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ. სარჩელების უმეტესობა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის სამართლიანობის გასაჩივრებას ეხებოდა (7 საქმე), ასევე გასაჩივრებული იყო საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები, რომ არ წარედგინათ ადმინისტრაციული ოქმები სავარაუდო საარჩევნო დარღვევებისთვის (10 სარჩელი), ან კამპანიის წესების დარღვევა (19 საქმე), ასევე ადმინისტრაციული რესურსების არამიზნობრივად ხარჯვა (15

³⁰ მონიტორინგი ყოველდღიურად მიმდინარეობს 18:00-დან 24:00 საათამდე. მონიტორინგში შემდეგი მედიასაშუალებები მონაწილეობს: *საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, მაესტრო, ჯიდიესი და ტვ პირველი.*

³¹ საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს სახალხო დამცველს და პარლამენტის წევრების ერთ მეხუთედს უფლება აქვს, რომ არჩევნებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სარჩელი შეიტანონ.

³² 21 ივლისს, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სასამართლოს მოსამართლეები ზეწოლას და შანტაჟს განიცდიდნენ, რათა ან ხელისუფლების სასარგებლო გადაწყვეტილება მიეღოთ, ან ამჟამად სასამართლო წარმოებაში მყოფი რამდენიმე გახმაურებული საქმის მიმართ გადაწყვეტილების მიღება გაეჭიანურებინათ. 25 ივნისს, საქართველოს პრეზიდენტმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც ხაზი გაუსვა სასამართლო წარმოებაში ჩარევის შემთხვევებზე სწრაფი და ადეკვატური რეაგირების მნიშვნელობას.

³³ 115 სარჩელიდან 54 საოლქო საარჩევნო კომისიაში იქნა წარდგენილი, 39 - ცესკოში, 13 - თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 9 - სააპელაციო სასამართლოში.

საქმე). ყველა სარჩელი, ასევე საოლქო საარჩევნო კომისიის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის და სასამართლოების გადაწყვეტილებები ერთ დღეში ქვეყნდება ცესკოს ვებგვერდზე. 115 წარდგენილი სარჩელიდან სრულად 4, ხოლო ნაწილობრივ 3 დაკმაყოფილდა.

წინა არჩევნების მსგავსად, ახლაც შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია შეიქმნა, პოტენციური საარჩევნო დარღვევების და სახელმწიფო რესურსების არასათანადოდ გამოყენების საკითხების განსახილველად. უწყებათაშორისი კომისია მაღალი თანამდებობის პირებით არის დაკომპლექტებული და თვეში ორჯერ შეიკრიბება პარტიული სიის რეგისტრაციის დასრულებამდე, შემდეგ კი ერთხელ კვირაში შედეგების საბოლოო სახით გამოცხადებამდე; ის არასავალდებულო რეკომენდაციებს გასცემს. ყველა მხარეს და დამკვირვებელს აქვს უფლება, რომ სესიებს დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს. პარტიის წარმომადგენლებმა ექვები გამოხატეს ძალადობის სავარაუდო შემთხვევების და სახელმწიფო რესურსების არამიზნობრივად გამოყენების შესახებ, რის შემდეგაც სამთავრობო უწყებებმა ინფორმაცია გამოსცეს იმის შესახებ, თუ რა ზომები იქნა მიღებული. ჯერჯერობით, უწყებათაშორისმა კომისიამ ხუთი სხდომა გამართა და სამი რეკომენდაცია გამოსცა.³⁴

XI. ადგილობრივი საზოგადოებრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს დაკვირვებას ადგილობრივი საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების მიერ. კანონმდებლობა დეტალურ დებულებებს შეიცავს დამკვირვებლების უფლებების და ვალდებულებების შესახებ და მათთვის თავისუფალ წვდომას უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესის ყველა ეტაპზე. 16 სექტემბრის მდგომარეობით, ცესკოს დარეგისტრირებული ჰყავს 63 ადგილობრივი საზოგადოებრივი და 30 საერთაშორისო ორგანიზაცია (ჩამოსული, საარჩევნო მენეჯმენტის განმახორციელებელი უცხოური ორგანოების ჩათვლით). სხვადასხვა მოქალაქე დამკვირვებლების ორგანიზაციები არჩევნებზე გრძელვადიან სადამკვირვებლო ღონისძიებებს ახორციელებენ და ისეთ საკითხებზე მიმართავენ ყურადღებას, როგორცაა წინასაარჩევნო გარემოს სხვადასხვა ასპექტები, კამპანიის დაფინანსება, მედიამონიტორინგი და საარჩევნო სარჩელები და დავები.

პარტიებს, საინიციატივო ჯგუფებს და კანდიდატებს თითოეულ საარჩევნო კომისიაში ორი წარმომადგენლის დასახელება შეუძლიათ, მაგრამ კომისიის შეხვედრებზე, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის დღეს, ყოველ ჯერზე მხოლოდ ერთი მათგანის დასწრება შეიძლება.

³⁴ სხვათა შორის, უწყებათაშორისმა კომისიამ ყველა პარტიის მიმართ გასცა რეკომენდაცია, რათა მათი მხარდამჭერებისა და აქტივისტებისთვის მოეწოდებინათ, რომ სხვა პარტიების საჯარო შეკრებებზე დასწრებისგან თავი აერიდებინათ და არ მოეწყოთ კონტრაქციები კონკურენტი პარტიების წინააღმდეგ.

XII. ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა

2014 წლის აღწერის მიხედვით, ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის 13.2 პროცენტს შეადგენს. ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფებია აზერბაიჯანელები (6.3 პროცენტი) და სომხები (4.5 პროცენტი).³⁵ საარჩევნო კოდექსში ბოლო პერიოდში შესული შესწორებების გათვალისწინებით, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიასთან გამართულ შეხვედრებზე წარმოდგენილმა მხარეებმა შეშფოთება გამოხატეს, რომ ოლქებს შორის გავლებულმა ზოგიერთმა ახალმა საზღვარმა შეიძლება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობა შეამციროს, განსაკუთრებით ახალქალაქის და ნინოწმინდის გაერთიანებულ ოლქში.³⁶ რამდენიმე პარტიამ და ბლოკმა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები შეიყვანა პარტიულ სიებში, ასევე უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მაჟორიტარ კანდიდატებადაც უმცირესობების წარმომადგენლები დაასახელა.³⁷

საარჩევნო კოდექსის დებულებებში გათვალისწინებულია საარჩევნო სიების, ბიულეტენების, ოქმების და სხვა საარჩევნო მასალების თარგმნა უმცირესობების ენებზე და ცესკო მიზნად ისახავს, რომ ამომრჩეველთათვის საგანმანათლებლო და საინფორმაციო მასალები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე მოამზადდეს, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჩათვლით. ამას გარდა, ცესკოში მუშაობს სამედიაციო ცხელი ხაზი ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე, ასევე, მის ვებგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია აფხაზურ ენაზეც. ცესკომ მცირე გრანტების კონკურსი მოაწყო და თანხები გამოუყო რვა არასამთავრობო ორგანიზაციას, რათა პროექტები განეხორციელებინათ საარჩევნო პროცესში ეროვნული უმცირესობების ჩართულობის გასააქტიურებლად.

XIII. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ღონისძიებები

ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ მუშაობა 30 აგვისტოს დაიწყო. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი საგარეო საქმეთა მინისტრს, ცესკოს, პარლამენტის თავმჯდომარეს,

³⁵ შემდეგ მოდიან რუსები (0.7), ოსები (0.4), იეზიდები (0.3), უკრაინელები (0.2), ქისტები (0.2), ბერძნები (0.1), ასირიელები (0.1) და სხვა ჯგუფები (0.4).

³⁶ ახალქალაქის და ნინოწმინდის ერთ ოლქად გაერთიანებამ (ასევე, ყოფილი ახალქალაქის ოლქის რამდენიმე სოფლის შერწყმა ბორჯომი-ასპინძის ოლქთან) შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს წინიკური სომხების წარმომადგენლობაზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან. ოლქების რაოდენობა გაიზარდა ქვემო ქართლში, რომელიც უმეტესწილად აზერბაიჯანელებით დასახლებული რეგიონია.

³⁷ მაჟორიტარი კანდიდატები: ქართული ოცნება 3 დასახლებული 73 კანდიდატიდან; ერთანი ნაციონალური მოძრაობა 5 – 72-დან; სახელმწიფო ხალხისთვის (SP) 6 – 72-დან; საქართველოს პატრიოტთა ალიანსი 4 – 71-დან; თავისუფალი დემოკრატები 1 – 64-დან; ეროვნული ფორუმი 1 – 54-დან; და 4 დამოუკიდებელი კანდიდატი.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს, ასევე ეუთოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლებს შეხვდა. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ ასევე კონტაქტები დაამყარა პოლიტიკურ პარტიებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, მასმედიის წარმომადგენლებსა და არჩევნებში მონაწილე სხვა მხარეებთან.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ევროპარლამენტის და ნატოს საპარლამენტო ასამბლეა აპირებს დელეგაციების გამოგზავნას, რათა კენჭისყრის დღეს დააკვირდნენ. იგნასიო სანჩეს ამორი ეუთოს თავმჯდომარემ სპეციალურ კოორდინატორად და ეუთოს მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელად დანიშნა. ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიამ ბრიფინგები გამართა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ასევე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო დელეგაციებისთვის. კენჭისყრის დღეს დაკვირვება ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის, ევროპარლამენტის და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციების ერთობლივი ძალისხმევით შედეგად მოხდება.

*წინამდებარე ანგარიშის ინგლისური ვერსია ერთადერთი ოფიციალური დოკუმენტია.
ხელმისაწვდომია არაოფიციალური თარგმანი ქართულ ენაზე.*